ცნობის ფურცელი

№ 1785 ყოველ-დღიური გამოცემა **1896—1902** შაბათი, 20 აპრილი **№ 1785**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

ვაცხადებთ ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ, რომ **პირველი ორი წიგნი „მოამბისა“ აღარ არის** დარჩა შემდეგ ხელის-მომწერთ ჟურნალი მხოლოდ მესამე წიგნიდან გაეგზავნება.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ქ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ-

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 271 (წლ.)

ქართული თეატრი

კვირას, 21 აპრილს 1902 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

ორი პიესა ერთ საღამოს

I

ლეკის ქალი გულჯავარ

ისტ. დრ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

II

მსხვერპლი მსხვერპლისათვის

კომედია 3 მოქ. დიაჩენკოსი, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ანდრონიკაშვილი, კარგარეთელი, სარიძე და სხვა; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე. შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, იორდანაშვილი, მოურავიშვილი, რომანიშვილი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები დაკლებულია.

პარტერი 50 კაპეიკიდან 1 მ. 50-მდე, ლოჟები 3 მან., გალერეია—20 კაპ., კუპონები ლოჟებში—80 კ., შეგირდებისათვის ადგილები—40 კაპ.

მზადდება: შილერის „ყაჩაღები“ და გუცკოვის „ურიელ აკოსტა“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

საზღვარ-გარედ

ავსტრია. ამ მოკლე ხანში ქ. ბუდაპესტში შეიკრიბება ავსტრიის დელეგაციები. დელეგატები განიხილავენ ავსტრიის მთელ გარეშე პოლიტიკას; მათ მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ წელიწადში ანგარიში მოსთხოვონ გარეშე საქმეთა მინისტრს.

დელეგატების მომავალ სხდომას განსაკუთრებულის ინტერესით მოელის საზოგადოება: გრაფ გოლუხოვსკიმ სამთა კავშირზე უნდა ილაპარაკოს; ყველაფერი უნდა მოახსენოს დელეგატების კრებას, რა ხდებოდა ფარულად ვენეციაში და ვენაში. როცა გერმანიის კანცლერი ესტუმრა ამ ქალაქებს. განახლდება თუ არა სამთა კავშირი. თუ განახლდება, როგორის პირობებით, ისევ უცვლელი დარჩება ხელ-შეკრულება, თუ რაიმე ცვლილება იქნება შეტანილი.

აი ის კითხვები, რომელზედაც უნდა ილაპარაკოს ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა. ეჭვს გარეშეა, რომ სამთა კავშირის ყველა დელეგატი ერთნაირად არ უცქერის, ამიტომ მოსალოდნელია, რომ გოლუხოვსკის ბევრ მწარე წამებს გამოატარებენ ხალხის წარმომადგენლები.

ავსტრიის პარლამენტის ყოველ პოლიტიკურ პარტიას თავის წარმომადგენელი ჰყავს დელეგაციაში, პარტიის რაოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით; მაგ. პოლონელებს ჰყავთ ექვსი წარმომადგენელი, ჩეხებს ხუთი, გერმანელებს ოთხი, სამხრეთ სლავებს ორი და სხვა.

პრესა, რასაკვირველია, სცდილობს მოამზადოს დელეგატები მომავალ სხდომისათვის, მისცეს შესაფერი რჩევა, რომ უკედ დაიცვან იმ ხალხის ინტერესები, რომლის წარმომადგენელნიც არიან. სხვათა შორის, პოლონური გაზეთებიც ბევრს ლაპარაკობენ ავსტრიის გარეშე პოლიტიკაზე და სამთა კავშირზე. დემოკრატიული გაზეთი „ნუოვა რეფორმა“ ამტკიცებს, რომ არც ერთი პოლონელი არ უნდა დასთანხმდეს კავშირზე იმ სახელმწიფოსთან (გერმანია), რომლის მეთაური (ვილჰელმ მეორე) აშკარად და გაბედულად თანაუგრძნობს პოლონელების აღმოფხვრის სისტემას და იწვევს თავის გერმანელ ქვეშევრდომებს მათთან საბრძოლველად.

ხსენებულ გაზეთებს ძალიან უკვირს, რომ პოლონური კონსერვატიული გაზეთები, რომელნიც აქამდე წინააღმდეგი იყვნენ გერმანიასთან კავშირისა, ეხლა, როცა ბიულოვი ვენაში იყო და გოლუხოვსკის მოელაპარაკა, ხმასაც არ იღებენ. „ნუ თუ პოლონელები დამშვიდებული დაუწყებენ ლოდინს იმ წამს, როცა განახლებული იქნება კავშირი გერმანიასთან, სადაც პოლონელების მდგომარეობა თან-და-თან და სისტემატიურად უარესდება? ამ დღეებში შეიკრიბება ავსტრიის დელეგაციები. ნუ თუ პოლონელი დელეგატები ხმას მისცემენ გერმანიასთან კავშირის განახლების მომხრეებს? ნუ თუ არ ჩასთვლიან ისინი თავიანთ ეროვნულ მოვალეობად ყოველი ღონე იღონონ, რომ ასეთი სირცხვილი და თავის მოჭრა არ მოხდეს? კითხვა ხომ მეტად მარტივია: ან ავსტრიე-

ფელეტონი

—

ქალაქის არჩევნები

რას ამბობენ ციფრები *)

II

თუ არჩევნების დროს ყოველი ერი ეცდება თავისიანები აირჩიოს ხმოსნებად, რამდენი ხმოსანი შეგვიძლია გავიყვანოთ ქართველებმა, რის უფლება გვაქვს? ეს უფლება შეიძლება სხვა და სხვანაირად გავიგოთ, სხვა-და-სხვა საფუძველი დავუდვათ მას. ტფილისში 181 ათ. მცხოვრებია და თუ მცხოვრებთა რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში: ქართველები 48—ათ. ვართ, სომხები—63 ათ., რუსები—38 ათ. და სხ. 32 ათ., და ქართველებს უფლება გვაქვს ავირჩიოთ 21 ხმოსანი, სომხებს—28, რუსებს—17 და სხვებს—14 ხმოსანი. თუ ვიხელმძღვანელებთ არა ამ „ზნეობრივის“ უფლებით, არამედ „კანონიერის“, საცენზო უფლებით, მაშინ: ცენზიანი ქართველი 495 (მესაკუთრე 429+66 ვაჭ.), სომეხი 1663 (1234+419), რუსი 587 (548—39) და სხ. 364, და ქართველებს უფლება გვაქვს ავირჩიოთ 12—13 ხმოსანი, სომხებს 42—43, რუსებს—15, სხვებს—9. მაგრამ სომხები ერთად ყველა სხვა ერის წარმომადგენლებზე გაცილებით მეტნი არიან, მათ სულ ადვილად შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, თუ გარდა ვიწრო ეროვნობისა არაფერს მიიღებენ სახეში, ეს „კანონიერი“ უფლებაც წაგვართვან და არც ერთი ქართველი არ იქმნება არჩეული ხმოსნად.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთს უკიდურესობამდე არ მივა ჩვენ და სომხებს შორის განხეთქილება... მიუხედავად ამისა სომხებს წელს არ შეუძლიათ წინანდელივით იპირველონ არჩევნებზე. საქმე ისაა, რომ წელს არჩევნები მოხდება რაიონებად და სხვა-და-სხვა რაიონში ერთნაირად არ არის დანაწილებული ძალები.

მკითხველმა თვალი გადაავლოს ქვემოთმოყვანილს სქემას, სადაც ამომრჩევლები დაყოფილნი არიან რაიონებად, ქონებრივად და ეროვნულად.

1-ლი საარჩევნო რაიონი:

ქართველები: 1-ლ საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ. ცენზ. 13 მესაკ., 2000—4000 მ. 32 მესაკ., 4—6 ათ. მ. 8 მესაკ., 6—10 ათ. მ. 14 მესაკ., 10—15 ათ. მ. 9 მესაკ., 15—25 ათ. მ. 10 მესაკ., 25—50 ათ. მ 2 მესაკ., სულ 88 მესაკ., ვაჭრები 3.

მე-2 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ. 4 მესაკ, 2—4 ათ. მ. 11 მესაკ., 4—6 ათ. მ. 12 მესაკ. 6—10 ათ. მ. 8 მესაკ., 10—15 ათ მ. 3 მესაკ, 15—25 ათ. მ. 3 მესაკ., 25—50 ათ. მ. 4 მესაკ. 100 ათ. მ. 1 მესაკ., სულ 46 მესაკ., ვაჭრები 7.

მე 3 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 ათ. მ. 3 მესაკ., 2—4 ათ. მ. 7 მესაკ., 6—10 ათ. მ. 4 მესაკ., 10—15 ათ. მ. 4 მესაკ., 15—25 ათ. მ. 2 მესაკ., 25—50 ათ. მ. 2 მესაკ., 50—100 ათ. მ. 3 მესაკ., 100 ათ. მ. 2 მესაკ., სულ 27, ვაჭრები 8.

მე-4 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ. 1 მესაკ., 2—4 ათ. მ. 6 მესაკ., 4—6 ათ. მ. 3 მესაკ., 6—10 ათ. მ. 1 მესაკ., 10—15 ათ. მ. 3 მესაკ., 15—25 ათ. მ. 5 მესაკ.. 25—50 ათ. მ. 4 მესაკ., 100 ათ. მ. 1 მესაკ., სულ 24. ვაჭრები 12. სულ მესაკუთრენი 185, ვაჭრები 30, ორივე ერთად 215.

სომხები: 1-ლ საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—6, 2—4 ათ. მ.—25, 4—6 ათ. მ.—12, 6—10 ათ. მ.—15, 10—15 ათ. მ.—7, 15—25 ათ. მ.—10, 25—50 ათ. მ.—13, 50—100 ათ. მ.—3, 100 ათ. მ.—2, სულ 93, ვაჭრები 20.

მე 2 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—2, 2—4 ათ. მ.—9, 4—6 ათ. მ.—5, 6—10 ათ. მ.—7, 10—15 ათ. მ.—6, 15—25—5, 25—50 ათ. მ. 3, 50—100 ათ. მ.—5, 100 ათ. მ.—1, სულ 42, ვაჭრ.—12.

მე-3 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 ათ. მ.—5, 2—4 ათ. მ.—7, 4—6 ათ. მ.—10, 6—10 ათ. მ.—8, 10—15 ათ. მ.—10, 15—25 ათ. მ.—6, 25—50 ათ. მ.—11, 50—100 ათ. მ.—3, 100 ათ. მ.—5, სულ 65, ვაჭრები 48.

მე-4 საპოლიც. ნაწილ.: 2—4 ათ. მ.—7, 4—6 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—6, 10—15 ათ. მ.—14, 15—25 ათ. მ.—42, 25—50 ათ. მ.—25, 50—100 ათ. მ.—8, 100 ათ. მ.—3, სულ 106, ვაჭრ. 85. სულ მესაკუთრენი—306, ვაჭრები—165, ორივე ერთად—471.

რუსები. 1-ლ საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—26, 2—40 ათ. მ.—58, 2—6 ათ. მ.—32, 6—10 ათ. მ.—22, 10—15 ათ. მ.—13, 15—25 ათ. მ.—5, 25—50—3, 100 ათ. მ.—1, სულ—160, ვაჭრ.—2.

მე-2 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—3, 2—4 ათ. მ.—19, 4—6 ათ. მ.—5, 6—10 ათ. მ.—9, 10—15 ათ. მან.—5, 25—50 ათ. მ.—1, სულ 42, ვაჭრ.—3.

მე-3 საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—1, 2—4 ათ. მ.—2, 4—6 ათ. მ.—6, 6—10 ათ. მ.—2, 10—15 ათ. მ.—5, 15—25 ათ. მ.—2, 25—50 ათ. მ.—4, სულ—22, ვაჭრ.—4.

მე-4 საპოლიც. ნაწილ.: 2—4 ათ. მ.—3, 4—6 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—3, 10—15 ათ. მ.—1, 15—25 ათ. მ.—6, 25—50 ათ. მ.—2, 50—100 ათ. მ.—1, სულ—17, ვაჭრ.—14. სულ მესაკუთრენი—241, ვაჭრები—23, ორივე ერთად—264.

სხვ. ტომნი: 1-ლ საპოლიც. ნაწილ.: 1500—2000 მ.—7, 2—4 ათ. მ.—20, 4—6 ათ. მ.—11, 6—10 ათ. მ.—14, 10—15 ათ. მ.—9, 15—25 ათ. მ.—4, 25—50 ათ. მ.—1, სულ—66, ვაჭრ.—5.

მე-2 საპოლიც. ნაწილ., 2—4 ათ. მ.—2, 4—6 ათ. მ.—2, 6—10 ათ. მ.—4, 10—15 ათ. მ.—1, 15—25 ათ. მ.—3, 100 ათ. მ. 1, სულ—13, ვაჭრ.—2.

მე-3 საპოლიც. ნაწილ.: 2—4 ათ. მ.—2, 4—6 ათ. მ.—2, 6—10 ათ. მ.—3, 10—15 ათ. მ.—2, 15—25 ათ. მ.—2, სულ—11, ვაჭრ.—7.

მე-4 საპოლიც. ნაწილ.: 2—4 ათ. მ.—2, 6—10 ათ. მ.—2, 15—25 ათ. მ.—3, 25—50 ათ. მ.—2, 50—100 ათ. მ.—1, სულ—10, ვაჭრ.—9. სულ მესაკუთრენი—100, ვაჭრები—25, ორივენი ერთად—125.

სულ ყველანი: 1500—2000 მ.—70 მესაკ., 2—4 ათ. მ. 212, 4—6 ათ. მ.—110, 6—10 ათ. მ.—122, 10—15 ათ. მ.—92, 15—25 ათ. მ.—108, 25—50 ათ. მ.—77, 50—100 ათ. მ.—24, 100 ათ. მ.—17, სულ—832, ვაჭრ.—243 ორივე ერთად—1075.

ქართველი სახლის მეპატრონენი შეადგენენ სახლის მესაკუთრების 22%, მხოლოდ ქართველი ამრჩევლები—20% ამომრჩევლებისას. ქართველი სახლის მესაკუთრეთა რიცხვი თითქმის $^2/_3$ შეადგენს სომეხ მესაკუთრეთა, საერთოდ ქართველი ამომრჩევლები კი სომეხ ამომრჩევლების ნახევარზე გაცი-

---

*) იხ, „ცნ. ფურც“. № 1784.

ლი პოლონელები თანაუგრძნობენ პოზნანელებ და ამ შემთხვევაში ლაპარაკიც არ შეიძლება კავშირის მოწონებაზე, ან მოიწონებენ კავშირს იმიტომ, რომ მათ სრულებით არ ესმისთ პოლონური კითხვა გერმანიაში“.

არც ჩეხები თანაუგრძნობენ გერმანიასთან კავშირს—პანგერმანისმი გერმანიაში დაიბადა და იქ აქვს ზურგი გამაგრებული სლავებთან, გენსაკუთრებით ჩეხებთან საბრძოლველად. მაგრამ ჯერ სამთა კავშირის უკმაყოფილოთ ვერ უნდა მიაღწიონ მიზანს: ავსტრიის ბალკანეთის პოლიტიკისათვის საჭიროა მოკავშირე, რომ რუსეთის წინაალმდეგ რამე გააწყოს. ბუნებრივი მოკავშირე ავსტრიისა პრუსიის გაძლიერების შემდეგ საფრანგეთია, მაგრამ ბევრისათვის საბედისწერო ალზას-ლორენის კითხვამ საფრანგეთი ავსტრიის მეტოქე რუსეთს დაუახლოვა. რუს-ფრანგთა კავშირის აიძულებს ავსტრიას გერმანიასთან კავშირი განახლებას. თუმცა, როგორც ავსტრიის ერებისათვის, ისე მთელ სახელმწიფოსათვისაც ეს კავშირი ბევრში მავნებელია.

ბოლგარია და სერბია. ფირმილიანის მიტროპოლიტად დანიშვნის საქმემდე ბოლგარიისა და სერბიის დამოკიდებულება მეტად კარგი ყოფილა. შორს გიმჭვრეტ პოლიტიკოსების მეცადინეობით ორივე მონათესავე ერი მზად იყო მეტად დიდ-მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დაედოთ. ამ ხელშეკრულების უმთავრესი მუხლები უნდა ყოფილიყო —1) დამოჟნისა და პასპორტების მოსპობა, 2) შეთანხმების ძალაში შესვლიდან ერთის წლის განმავლობაში საერთო ნოტის გაგზავნა სახელმწიფოებთან მაკედონიაში ავტონომიის შემოღების შესახებ, 3) განთავისუფლებულ მაკედონიას ნეიტრალური მდგომარეობა უკავია ბოლგარიასა და სერბიას შორის, 4) განთავისუფლებიდან ერთის წლის შემდეგ მაკედონია შედის ბოლგარიისა და სერბაის კონფედერაციაში, 5) მანამდე კი სასკოლო, საეკლესიო და სავაჭრო კითხვები მაკედონიაში უცვლელად უნდა დარჩეს.

ბოლგარიისა და სერბიის ასეთი კავშირი ბალკანეთის მცირე ერების გაერთიანება და გაძლიერება იქნებოდა; ეს კი სრულებით სასურველი არ იყო იმ სახელმწიფოებისათვის, (ავსტრია და რუსეთი), რომელთაც ბალკანეთი თავიანთ პოლიტიკის ასპარეზად გაუხდიათ, რადგან მათ ასპარეზობას ისეთი თავისუფლება არ ექნებოდათ, როგორც აქამდე. ფირმილიანის საქმეც იმიტომ გამოიგონეს, რომ მეზობელ ერებ შორის ძველი განხეთქილება და შური გაეღვიძებიათ და მიაღწიეს კიდეც მიზანს, ჯერ-ჯერობით მაინც: ამაო შეიქნა ბოლგარიისა და სერბიის დაკავშირება! მომხრეთა ქადაგება—ნუ გავახარებთ მტრის გულს, ძაღლებივით ნუ წავიჩხუბებით გადმოგდებულ ძვალის გულისათვის; შევთანხმდეთ, გავღონიერდეთ და ჩვენი საქმეც უზრუნველ-ყოფილი იქნებაო.

მაკედონია. ბოლგარიისა და სერბიის შორს-გამჭვრეტ მამულის შვილთა შიში ლამის არის გამართლდეს: ავსტრიას ჯარები შეუკრებია ბოსნია-ჰერცოგოვინის საზღვრებზე და მზად არის ძველი სერბია ხელში იგდოს. თუ ბოლგარულ გაზეთების კორესპონდენტებს დავუჯერებთ, ეჭვი არ უნდა იყოს ავსტრიის ასეთ განზრახვაში: „დიდი ხანია ხმა დადის, რომ ავსტრიის ჯარი ემზადება დაიპყროს მთელი „ნოვო-ბაზარ“-ის სანჯაკიო, მაგრამ ეხლა კი ამის ეჭვი არავის აქვს. აპოლის (ბოსნიის ჯარების უფროსი) სიტყვა, რომ ავსტრიის ჯარებმა უნდა გაავრცელონ თავისი სახელი თეთრ ზღვამდე, ყველამ ისე გაიგო, რომ ავსტრიას განზრახვა აქვს ხელში იგდოს ძველა სერბიაცა და მაკედონიაც“. მეორე კორესპონდენტი იწერება—„ნოვო ბაზარის სანჯაკში ოსმალეთს სულ ორი რაზმი ჰყავს; მაგრამ, რადგან ავსტრიამ ამდენი ჯარი შეჰკრიბა საზღვარზე, ოსმალეთიც ენერგიულად შეუდგა გარნიზონების გაძლიერებას“. მესამე კორესპონდენტი სკოპიიდან—„ორი დღის შემდეგ აქ მოელიან ახალ ჯარს სოლუნიდან. ოსმალები მეტად შეშინებული არიან იმის გამო, რომ ავსტრია ასეთ სამხედრო მზადებაშია! ავსტრია მხოლოდ ელის მოხერხებულ დროს, რომ ჯარები შემოიყვანოს ძველ სერბიასა და მაკედონიაში. აქ ისეთი შიშიანობაა, რომ ვაჭრობა სრულებით შესწყდა“.

თუ ავსტრია მართლა ჰფიქრობს ძველ სერბიაში და მაკედონიაში ჯარების შეყვანას, რაში უნდა მდგომარეობდეს რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება, რომელსაც ამდენი ქება-დიდება უძღვნეს გაზეთებმა: მშვიდობიანობის და status quo’-ს დაცვა ამ შეთანხმებას შეუძლიაო. თუ ავსტრია ახალ ქვეყნებს დაიპყრობს, რუსეთს სად უნდა მიეცეს კომპენსაცია!

ახალი ამბავი

◆ კვირას, 28 აპრილს, დანიშნულია ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა **საგანგებო კრება.** განსახილველია ორი საგანი: 1) როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული და 2) რომელ თვეში მოხდეს ხოლმე თავად-აზნაურთა მორიგი კრებანი.

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, წარსულ მარტში **ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა** შემახიის მცხოვრებთა დეპუტაცია, რომელმაც უქვეშევრდომილესად სთხოვა—შემახიამდე რკინის გზის შტო იქმნას გაყვანილი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ნავაგიდან, რათა ამით ხელი შეეწყოს დაზარალებულთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

◆ ტფილისის ხმოსანთა კერძო კრებაზე, გუშინ-წინ 18 აპრილს, უმეტესობამ გამგეობის მე-4 წევრის **კანდიდატად დაასახელა** საექიმო-სასანიტარო ინსპექტორი ბ. სტეფანოვი.

იმავე დღეს ექიმ ავთანდილოვის თაოსნობით მეორე კერძო კრებაც მოხდა, რომელზედაც კანდიდატებად დაასახელეს მოხელეები კოკჩაევი და სვეჩნიკოვი.

◆ განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი და წესდება დაბალი **სახელოსნო სასწავლებლის** დასაარსებლად ავლაბარში. ეს სასწავლებელი არსდება გარდაცვალებულის ნატალია შიოევის შემოწირულის თანხით. თანხმად პროექტისა, სასწავლებელი უნდა გაიხსნას მხოლოდ ხელოსნებისა და ღარიბ ხალხის შვილებისთვის. სასწავლებელში სწავლა სამი წლით იქმნება, სამი კლასი. შეგირდები იქნებიან არა უმეტეს 120 კაცისა, ორმოც-ორმოცი თითო კლასში. სავალდებულო სასწავლებელ საგანთა შორის იქმნება: საზოგადო ცოდნა ფიზიკისა, საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობა, სახელოსნო მეცნიერება, სახაზ-სახატი ხელოვნება და სხვა. ხელოსნობა იქმნება: ხარატობა, დურგლობა, მჭედლობა, მეჩექმეობა და სხვა. სასწავლებელში მიიღებიან საქალაქო და პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა დამთავრებულები; ამათგან—სომეხ-გრიგორიანები უფასოთ, ხოლო სხვა რჯულისა წელიწადში ათ მანეთად. სასწავლებელს სჭირდება წელიწადში 7,000 მან., რომელსაც შიოევისაგან ნაანდერძევი ქონების შემოსავალი გადაიხდის.

◆ რადგან ქალაქის სკოლების სამოსწავლო კომისიას ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია **ჟუკოვსკის დღესასწაულის** პროექტი, ამის გამო ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა წინადადება შეიტანა გამგეობაში, რომ ქალაქმა პატივი სცეს გამოჩენილ რუსის მწერლის ჟუკოვსკის სახელს. გამგეობამ, შემდეგ ურთიერთ შორის მოლაპარაკებისა, დაადგინა: 1) 22 აპრილს ქალაქის ყველა სკოლებში პანაშვიდი გადაიხადონ ჟუკოვსკის სულის მოსახსენებლად; 2) ყველა საქალაქო სკოლებში ჩამოჰკიდონ ჟუკოვსკის „კარგი“ პორტრეტი; 3) ერთ არსებულ სკოლას დაერქვას ჟუკოვსკის სახელი; 4) შუა გულ ქალაქში ერთ ქუჩასაც იმის სახელი დაერქვას და 5) დაურიგდეს შეგირდებს იაფ-ფასიანი გამოცემა ჟუკოვსკის თხზულებათა და სურათები, რისთვისაც გადაიდოს 300 მან.

◆ **იურიევიდან** გვწერენ: „უნივერსიტეტში ლექციების კითხვა გათავდება 15 მაისს. 15 მაისიდან დაიწყება საყოველთაო ეგზამენები და გაგრძელდება 10 ივნისამდე. 220 კაცზე მეტი დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, რადგან სწავლის ფული ვერ შეიტანეს“.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ნება დართო მღვდელს მ. იანქოშვილს მართლ-მადიდებელთა **საღმრთო წერილი და საღმრთო სჯული** ასწავლოს ავლაბრის მესამე სკოლაში.

◆ წყლისაგან დამხსნელი საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ ნება მიეცეს ვერისა და ჩუღურეთის სკოლების შენობაში წაუკითხონ ხალხს დარიგება ბუნდოვანის სურათებით წყალში ჩავარდნილთა **გადარჩენაზე და მოსულიერებაზე.**

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის 415 ვერსის გზის ასაქცევიდან იტყობინებიან, რომ 19 აპრილს ღამით საქონლის მატარებელს № 181 დაეცნენ ავაზაკები 419 ვერსზე და უნდოდათ ვაგონი გაეძარცვათ. ავაზაკებმა გაძარცვა ვერ მოასწრეს, მხოლოდ კონდუქტორი კვალიაშვილი ოდნავ დასჭრეს ხანჯლით.

◆ სადგურ ბაქოდან იტყობინებიან, რომ 17 აპრილს გლეხს სერგი ადიმოვს უნდოდა მიმავალ მატარებელზე შეხტომა, მაგრამ გაუფრთხილებლობით თვლებ ქვეშ მოჰყვა, რომლებმაც ზედ გადაუარა და გასრისა.

◆ სადგურ შაქარლიდან იუწყებიან, რომ 18 აპრილს ღამით მეისრეს მეჭდი-ჯაფარ-ოღლის სემაფორთან სამი შეიარაღებული თათარი დაეცა. მეჭდი ჯაფარ-ოღლი სადგურისაკენ გაქცეულა

ლებით ნაკლები არიან. სომხების ამომრჩევლები ყველა ამომრჩევლის ნახევარზე ნაკლები არიან გაცილებით და სხვა ერთა წარმომადგენლების რიცხვი ერთად 133 კაცით აღემატება სომხების რიცხვს.

ქონებრივად ასე არიან დანაწილებულნი პირველის რაიონის ამომრჩევლები:

წვრილი მესაკუთრენი: ქართველები 21, სომხები—12, რუსები—30, სხ. ტომები—7, სულ—70. საშუალონი: ქართ.—106, სომხები—112, რუსები—162, სხვ. ტომ—64, სულ—444; ერთად ორივენი: ქართ.—127, სომხ.—124, რუს.—192, სხ. ტომ.—71, სულ—514. საეჭვო და მსხვილი მესაკუთრენი: ქართ.—58, სომხ.—182, რუს.—49, სხ. ტომ.—29, სულ—318. ვაჭრები და მრეწველები: ქართ.—30, სომხ.—165, რუს.—23, სხ. ტომ.—25, სულ—243. საეჭვო და მსხვ. მესაკუთ. და ვაჭრები ერთად: ქართ.—88, სომხ.—347, რუს.—108, სხ. ტომ.—77, სულ 561.

ყველა ერის წვრილი და საშუალო ამომრჩევლები მეტნი არიან სხვა ამომრჩევლებზე, მხოლოდ სომხებში შეადგენენ წვრილები და საშუალონი მცირე ნაწილს. მაგრამ ჩვენ ყველა ვაჭარი მსხვილ ქონების პატრონად ვიანგარიშეთ; ნამდვილად-კი ასე არ იქნება და ვაჭრებშიც გამოერევიან წვრილი და საშუალო ამომრჩევლები.

მე-2 საარჩევნო რაიონი:

მე-5 საპ. ნაწილ. ქართველები: 1500—2000 მ. ცენზ. 6 მესაკ., 2—4 ათ. მ. 18 მესაკ., 4—6 ათ. მ. 5 მესაკ., 6—10 ათ. მ. 5 მესაკ., 10—15 ათ. მ. 5 მესაკ., 15—25 ათ. მ. 6 მესაკ., 25—50 ათ. მ. 1 მესაკ., 50—100 ათ. მ. 2 მესაკ., სულ 49 მესაკ., ვაჭრები 19.

მე-6 საპოლ. ნაწილში: 1500—2000 მ. 4 მესაკ., 2—4 ათ. მ. 3 მესაკ., 4—6 ათ. მან. 1 მესაკ., 6—10 ათ. მ. 3 მეს. 15—25 ათ. მ. 1 მესაკ., 50—100 ათ. მ. 1 მესაკ., 100 ათ. მ. 1 მესაკ., სულ 14 მეს.

მე-7 საპ. ნაწილ. 1500—2000 მ. 6 მეს., 2—4 ათ. მ. 12 მესაკ., 4—6 ათ. მ. 1 მესაკ., 6—10 ათ. მ. 2 მესაკ., 10—15 ჴ. მან. 2 მესაკ., 15—25 ათ. მ. 2 მესაკ., სულ 25, ვაჭრ. 1. სულ მესაკუთრ. 88, ვაჭრები 20, ორივე ერთად 108.

სომხები: მე-5 საპოლ. ნაწილ. 1500—2000 მ. 36 მესაკ., 2—4 ათ. მ.—77, 4—6 ათ. მ.—36, 6—10 ათ. მ.—42, 10—15 ათ. მ.—21, 15—25 ათ. მ.—13, 25—50 ათ. მ.—12, 50—100 ათ. მ.—3, 100 ათ. მ.—3, სულ—243, ვაჭრ.—152.

მე-6 საპ. ნაწილ. 1500—2000 მ.—20, 2—4 ათ. მ.—33, 4—6 ათ. მ.—13, 6—10 ათ. მ.—5, 10—15 ათ. მ.—2, 15—25 ათ. მ.—3, 25—50 ათ. მ.—1, 50—100 ათ. მ.—2, 100 ათ. მ.—1, სულ—80, ვაჭრ.—11.

მე-7 საპ. ნაწ. 1500—2000 მ.—51, 2—4 ათ. მ.—100, 4—6 ათ. მ.—28, 6—10 ათ. მ.—26, 10—15 ათ. მ.—10, 15—25 ათ. მ.—2, 25—50 ათ. მ.—1, 50—100 ათ. მ.—1, 100 ათ. მ.—1, სულ—219, ვაჭრ.—9. სულ მესაკ.—542, ვაჭრები—172, ორივენი—714.

რუსები: მე-5 საპ. ნაწილ. 1500—2000 მან.—1, 2—4 ათ. მ.—6, 4—6 ათ. მ.—2, 6—10 ათ. მ.—2, 15—25 ათ. მ.—1, სულ—12, ვაჭრ.—4.

მე-6 საპოლ. ნაწ. 2—4 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—1, სულ—2.

მე-7 საპ. ნაწ. 1500—2000 მ.—12, 2—4 ათ. მ.—17, 4—6 ათ. მ.—1, 25—50 ათ. მ.—1, სულ—31. სულ მესაკ.—45, ვაჭრ.—4 ორივენი—49.

სხ. ტომები: მე-5 საპოლ. ნაწილ. 1500—2000 მ.—1, 2—4 ათ. მ.—4, 4—6 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—7, სულ—13, ვაჭრები—16.

საპ მე-6ოლ. ნაწილ. 1500—2000 მ.—4, 2—4 ათ. მ.—5, 4—6 ათ. მ.—4, 6—10 ათ. მ.—4, 10—15 ათ. მ.—5, 15—25 ათ. მ.—2, სულ—24.

მე-7 საპოლ. ნაწ. 1500—2000 მ.—6, 2—4 ათ. მ.—10, 4—6 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—1, სულ—18. სულ მესაკუთ.—55, ვაჭრები—16, ორივენი—71.

სულ 1500—2000 მ.—147, 2—4 ათ. მან.—286, 4—6 ათ. მ.—93, 6—10 ათ. მან.—99, 10—15 ათ. მ.—45, 15—25 ათ. მ.—30, 25—50 ათ. მ.—16, 50—100 ათ. მ.—8, 100 ათ. მან. 6, სულ—730, ვაჭრ.—212, ორივენი—942.

მეორე რაიონში, როგორც ვხედავთ, გაცილებით ცოტა ვართ ქართველები. ჩვენი სახლის მეპატრონენი სახლის მეპატრონეების საერთო რიცხვის 12% შეადგენენ და საზოგადოთ ჩვენი ამომრჩეველები 11% ამომრჩეველებისას. საერთოდ ჩვენი რიცხვი სომხების რიცხვის თითქმის მხოლოდ მეშვიდედ ნაწილს შეადგენს. მეორე რაიონი სრულიად სომხების რაიონია. სხვა ერთა ამომრჩეველები ერთად 228 არიან, სომხები კი 714, ე. ი. სომხები აღემატებიან სხვებს ერთად 486 ხმით.

შევადაროთ სხვა-და-სხვა ქონების ამომრჩეველები ერთმანეთს:

წვრილი მესაკუთრენი: ქართველები 16, სომხები—107, რუსები—13, სხვა ტომი—11, სულ—147. საშუალონი: ქართვ. 51, სომხ.—360, რუს.—30, სხვ. ტომ.—37, სულ—478. ორივენი ერთად: ქართვ.—67, სომხ.—467, რუს.—43, სხვ. ტომ.—48, სულ—625. საეჭვონი და მსხვილები: ქართ.—21, სომხ.—75, რუს.—2, სხვ. ტომ.—7, სულ—105. ვაჭრები: ქართვ.—20, სომ.—172, რუს.—4, სხვ. ტომ.—16, სულ—212. საეჭვო, მსხვილი და ვაჭარი: ქართვ.—41, სომხ.—247, რუს.—6, სხვ. ტომ.—23, სულ—317.

ამ რაიონში ყველა ერის წარმომადგენლებში წვრილები და საშუალონი გაცილებით მეტნი არიან სხვა ამომრჩეველებზე; ქართველებში წვრილი და საშუალო სახლის მესაკუთრენი 3 ჯერ აღემატებიან დანარჩენ სახლის მესაკუთრეებს, სომხებში—6 ჯერ, რუსებში—20 ჯერ, სხვა ერებში—7 ჯერ. საერთოდ წვრილი და საშუალო მესაკუთრენი 6 ჯერ აღემატებიან დანარჩენ მესაკუთრეებს და საეჭვო და მსხვილ სახლის პატრონებს და ვაჭრებს ერთად კი ორჯერ. ასე რომ ამ რაიონს ახასიათებს სომხების და წვრილ და საშუალო სახლის პატრონების სიმრავლე. აქ არჩევნების ბატონები არიან ერთის მხრით სომხები (რომლებში წვრილი და საშუალო სახლის მეპატრონეთა რიცხვი ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარია: 467+475=942) და მეორეს მხრით წვრილი და საშუალო ამომრჩეველები.

მე-3 საარჩევნო რაიონი

ქართველები: მე-8 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ. 2 მესაკ., 2—4 ათ. მ. 14 მესაკ., 4—6 ათ. მ. 2 მესაკ., 10—15 ათ. მ. 1 მესაკ., 25—50 ათ. მ. 2 მესაკ., 50—100 ათ. მ. 2 მესაკ., სულ 23, ვაჭრები 5.

მე-9 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ. 7 მესაკ., 2—4 ათ. მ. 25 მესაკ., 4—6 ათ. 12 მესაკ., 6—10 ათ. მ. 13 მესაკ., 10—15 ათ. მ. 7 მესაკ., 15—25 ათ. მ. 3 მესაკ., 25—50 ათ. მ. 1 მესაკ. 50—100 ათ. მან. 1 მესაკ, სულ 69, ვაჭრები 4.

მე-10 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ. 9 მესაკ., 2—4 ათ. მ. 17 მესაკ., 4—6 ათ. მ. 14 მესაკ., 6—10 ათ. მ. 12 მესაკ., 10—15 ათ. მ. 8 მესაკ., 15—25 ათ. მ. 4 მესაკ., სულ 64, ვაჭრ. 7. სულ მესაკ. 156, ვაჭრები 16, ორივე ერთად 172.

სომხები: მე-8 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ. 8 მესაკ., 2—4 ათ. მ.—19, 4—6 ათ. მ.—5, 6—10 ათ. მ.—14, 10—15

და თან რევოლვერი დაუცლია რამდენჯერმე; სადგურიდანაც მიჰშველებიან რევოლვერის სროლით, რის გამოც ბოროტ-გამზრახველნი გაქცეულან.

✦ ამ დღეებში ყარსის რკინის გზაზე კლდე ჩამოწვა და მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა. ეხლა იტყობინებიან, რომ გზა გასუფთავებულია და მატარებლებმა სიარული დაიწყეს.

✦ ჭიათურიდან იტყობინებიან, რომ 18 აპრილს, როდესაც ლოკომოტივი ვაგონებით მანევრებს აკეთებდა, გაანგრია დაკეტილი ლიანდაგის რკინის ზღუდე და გვერდზე დაგორდა. ხალხს არა დაშავებია რა; ლოკომოტივი და ერთი ვაგონი დაზიანდენ.

პრესსა

„სუდებნაია გაზ.“-ს უკანასკნელ №-ში აღძრულია მეტად საყურადღებო საკითხი იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას ნივთიერი დახმარება ან დაჯილდოვება იმ პირთა, რომელნიც შეცდომით იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის გებაში. გაზეთი სწერს:

> რასაკვირველია, ჩვენ ვერაფრით ვერ გავაქარწყლებთ ზნეობრივ ტანჯვას, რომელიც გადაიტანა სამართალში შეცდომით მიცემულმა; ეს ტანჯვა უთუოდ დასტოვებს კვალს უბედურ მსხვერპლის გულში; მას ფულით ვერ გამოვისყიდით და სამაგიეროს ფულით ვერ გადავუხდით.
>
> მაგრამ ნივთიერი ზარალი, რომელიც მოუვა შეცდომით სასამართლოში მიცემულს, ყოველთვის გამოიანგარიშება და დაიფასება. ამგვარი ზარალი ყოველთვის მოუვა შეცდომით პასუხის გებაში მიცემულს, ნამეტურ თუ ის დააპატიმრეს და ამ გზით საქმეს მოაშორეს. ეს ცხადია; მაგრამ ისიც უეჭველია, რომ, თუმც არ დააპატიმრონ, მაინც, სანამ საქმე გათავდება, ზნეობრივი შელახვა და ტანჯვა, თავისას იზმენ და ადამიანს ძალღონეს შეუმცირებენ, რასაც უთუოდ მოსდევს ნივთიერი დაქვეითებაც.
>
> ამიტომ, ელემენტარული მოთხოვნა სიმართლისა ხმამაღლა ღაღადებს, რომ საჭიროა დაწესებულ იქმნას ნივთიერი დაჯილდოვება შეცდომით გასამართლებულთა ან პასუხის გებაში მიცემულთა.

ეს წესი მიღებულია უცხოელ კანონმდებლობაში და რუსეთის ახალის სასამართლო წესდებულების შემადგენელთაც შეუტანიათ იგი პროექტში; ამიტომ გაზეთი იმედოვნებს, რომ ეს სამართლიანი პრინციპი რუსეთშიაც მალე იქნება დაკანონებული.

⁂

რეაქციონული პრესსა ხშირად იმეორებს, რომ რუსეთში ბევრია უმაღლეს და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული და საჭიროც აღარ არის უნივერსიტეტ-გიმნაზიების ღაარსებაო; თუ მაინცა და მაინც სწავლა საჭიროა, ისევ სპეციალური სწავლა გვინდაო და არა საზოგადო, სადაც მიწოდება უკვე აღემატება მოთხოვნასაო. ამ საკითხს ეხება ჟურნ «რუსსკ. ბოგატსტვო“ და, სხვათა შორის, მოჰყავს შემდეგი საინტერესო ცნობა, ამოკრეფილი ოფიციალურ წყაროებიდან: რა სფერაც უნდა აიღოთო, ამბობს ჟურნალი, ყველგან შენიშნავთ, რომ განათლებული მოღვაწე-მსახური ერთობ ნაკლები გვყავს. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი მაზრები და ვნახოთ, რა ცენზის პატრონნი განაგებენ ყოველგვარ საქმეებს რუსეთის მაზრებშიაო:

> მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთაგან უმაღლესი განათლება მიუღია 41$^0/_0$-ს, საშუალო 42$^0/_0$-ს, დაბალი 17$^0/_0$-ს; საერობო გამგეობათა უფროსთაგან მიუღიათ: უმაღლესი სწავლა 29$^0/_0$-ს, საშუალო 43$^0/_0$-ს და დაბალი 28$^0/_0$-ს; მაზრის უფროსთაგან მიუღიათ: უმაღლესი სწავლა 2$^0/_0$-ს საშუალო 29$^0/_0$-ს და დაბალი 69$^0/_0$-ს; საერობო უფროსთაგან: უმაღლესი 3$^0/_0$-ს, საშუალო 52$^0/_0$-ს და დაბალი 18$^0/_0$-ს.

ასეთივე მდგომარეობა არისო, დასძენს ჟურნალი, სხვაგანაც და აქედანაც ცხადათ სჩანს, რამდენად მართალნი არიან ჩვენი ობსკურანტებიო.

„შამილას“ დაჭერა

(დასასრული*)

დაბინდების დროს მივედით მელიქოშვილის ჯარზე. ლევანის ჯარი დ[1] მელიქოშვილის ჯარი იმ ღამეს ერთად დავდექით ერთს მთაზე. მთა იყვ ისეთ რო აი: ნახევარ, მაისში თოვლივით გვადებდ იმ თვირთვილსა და ყინულსა, ღამე. „ჩვენი ხევსურეთი მთები ნათლად არ მიუდგებოდაო სიმაღლითაო ლეკის მთებთაო“—ვამბობდით. მერე დაიბარეს იმ შამილას ღიიბი. იმას ექვგნ სულთანი სახელი. მაჰყვნეს იმას გულხადარან[2] ლეკნი ათნი, მსახურნი. მოვიდ და ნაჩაჩალიკთან ჩამოხტომ არ იკადრ ცხენიდან, მანამდი მელიქოშვილთან ლევანთან არ მივიდო მანამდი ცხენიდან არ ჩამოხტო. იმათ კარავის კართან რო მივიდეს, ჩამახდ ცხენიდან. გამოვიდეს კარავიდან მელიქოშვილიც დ, ლევანიც მიეგებნეს ჩამაართვეს ერთ-უც ხელები. მაშინ იმ დროს მე ვიყავ (სთქვა აფშინამ) იმ კარავის კარზე ყარაულად. დაუძახეს იმათ, თუშთ, რომაც იცოდა ლეკურად ლაპარაკი. შაიყვანეს სულთან თავის კარავში დ ის თუშიც იქ შაიყვანეს მენედ. თუშს უამბეს ქართულად, მელიქოშვილმ დ ლევანმ: „შაგვარიგე ეს სულთანიო, ამას ფულს მივცემთო. შამილ: უნდო დავიჭიროთ ეს ნუღარ უმხრობსო. უთხრ იმან ლეკურად თუშს: „მე ვერ უღალატებო ფულის გულისდაო შამილასაო. ლევანმა დ მელიქოშვილმაც უთხრეს: „შენ ფულსაც ხომ მოგცემთაო, ჯამაგირსაც გაგინწესებთო. იმას სულთანს გაუმსეს ერთ აბრაშუმის ხურჯინი თეთრი ფულით, იმის მსახურს აუკიდეს, ზენაბად დაახურეს. მაშინ მისცა სულთან პირობაი მე შეგატყობინებ სადაცაო. აარჩიეს ერთ სამოცდა ათ კაციო, რომელნიც იყოს ჯიელ-გულადიო. ჩვენ გაგვარჩივნეს 70 კაცი: თუში, ფშაველი, ხევსურებ—60 კაცი ჩინოვნიკებ[3] ვინც იყვნეს ათამდე.

სულთანმ უთხრ მაშინ „სოფელ ბაგოზჩი ჩამეელითო მეც იქ დაგხვდებით ჩამალვით ჩუმადაო“. სხვა ჯარი მთაზე დარჩა, სრუ მაღალ წვერზე. ჩვენ 70 კაცი ჩავედით ბაგოზჩი. იქ ყოფილიყვ ვენახები, როგორც კახეთში. იქ დაგვიხვდ სულთანიც. სულთანმ უთხრ „მე წავალ, ვოხშმობის დროს მამიელითაო, სოფელს კარატაშიო, საცა შამილის სახლიაო, ასწავლა სახლიც. ვოხშმობის დრო მივედით ჩვენაც იმ ალაგზე. იმ დროს მივედით რო ჰერანგიან ყოფილიყო შამილაი, თავის სახლზე. იმას შაუტყობაც შამილაის, რო მაინც წამასხლენენ კიაო უფიქრებაც და ჰერანგიან წამოვიდა გარედ არ გამაიყოლია იარაღი: რო შაიტყვა მოვიდ ხელად. ჩაიყენეს შუაზიო ჩინოვნიკებმ, ნაჩალიკებმ, დიარანლებ, ალაპარაკეს თუშ ლეკურად, კაი ბიჭ იყვ შამილაი, მოზდილობითაც ყველაფრითაც. თვალებ მომეწონ იმის და უბებ,[4] კაცთაზე მიტ ჰქონდ. მემრე წამოვიყვანეთ თავის სახლიდან: 70 ქართველის ტყვე ყოფილიყვ გადაყვანილ ისინიც ვიხოვეთ ქალადით, გამოძიებით; გარმოვრეკეთ საქართველოზჩი ის ტყვებიც. წამოვედით: რუსიც, მელიცაონი, თუში, ფშავი, ხევსური, ის ტყვებიც თან წამოვიყვანეთ დაგვიდგეს წინადაც უკანაც ჩაფრებ: არც წინად გაგვიშვნეს არც უკენ დაგვსხლიტნეს, სრუ ერთად ქუჩად გვადინეს,[5] რო ცალკეს არავინ დაგვრჩებოდეს. დიარანლებ უბრძანეს ჩაფრებს: „ხალხს დაგვიზარალებენო ცალ-ცალკე ნუ გაუშვებთო. წამაველით ვიარეთ მესამეს დღეს შამოვხენით[6] ყვარელის მთაზე დ საბუის მთაზე; რუსის ჯარი ყვარელის გზაზე გაბრუნდა ჩვენ შილდის გზაზე წამოვედით. ისენ ყვარელჩი ჩავიდეს, ჩვენ შილდაში ჩავედით. ტყვეებიც ზოგ ყვარელჩი ჩაიყვანეს ზოგ შილდაისაც წამაიყვანეთ. ზოგ იმ დროითაი იყვ რო თავი დედ-მამა ვეღარც კი სცნობდა თავის შვილს მანემჯი გვარსა სახელს არ ჰკითხევდეს. ჩვენაც გვლოცევდეს: პურს გვიზიდნებდეს ღვინოს. ზოგ ტიროდ, თავის შვილებს ეხვეოდ ტირილით: „ცოცხალი გნახეთ იქავ ცოცხალ მაგვიხვედითაო“. შამილა მაშინ წაიყვანეს რუსეთს. ჩვე დავრჩით საქართველოზჩი. მას იქით აღარ ვიცი სად იყვ შამილა. ან იმის შვილებ. წაუიდ ლეკებსაც ის დროი აღარც ტყვე მიუდიოდ, ვეღარც ჯარ გარმადიოდ კახეთზჩი. მას იქითა გატყდ ლეკეთი“.

დაასრულა ამ სიტყვებით „შამილას დაჭერის“ ამბავი აფშინამ, „სადამო მშვიდობისა გქონდესო“, მითხრა და გავიდა დასაძინებლად.

დ. პავლიაშვილი

ბარისახო (ხევსურეთი)

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 1784.

[1] და.

[2] შუაგულიდან.

[3] დიდ-კაცობა.

[4] წვერები.

[5] გვატარეს.

[6] ჩამოველით.

სამრევლო სკოლების ახალი წესდება

—

გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული 1 აპრილს მართლ-მადიდებელთა სამრევლო სკოლების წესდება.

ახალის წესდების ძალით, სამრევლო სკოლები ორ-გვარი იქნება: დასაწყისი სკოლები და სასოსტატო. დასაწყის სკოლებად ითვლება წერა-კითხვის სკოლები და სამრევლო სკოლები—ერთკლასიანი, ორ-კლასიანი და საკვირაო (უმაწვილთა და მოზრდილთათვის), ხოლო სასოსტატო სკოლებად ითვლება: ზემოხსენებულნი მეორე ხარისხისანი და სამრევლო-სასოსტატოსანი. წესდებაში განსაზღვრით არის ნაჩვენები სწავლების კურსი ყველა ამ სკოლებში და მასწავლებლების განათლების ცენზი. წერა-კითხვის სკოლებში ასწავლიან საღმრთო სჯულის დასაწყისს, წერა-კითხვას, არითმეტიკის ოთხს მოქმედებას და საეკლესიო გალობას უნოტებოდ; სამრევლო-სასოსტატო სკოლებში—მათემატიკას, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, დიდაქტიკას და სხვ. განათლების ცენზი, რომელიც მოეთხოვება წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელს, მცირეა, მაგრამ სხვა სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის თანდათან ემატება, სკოლის ხარისხის მიხედვით.

მასწავლებელთა ჯამაგირი დაწესებულია მათის შრომისა და სოფლის ყოფა-ცხოვრების შესაფერი: უფროსს მასწავლებელს სამრევლო სკოლისას დაენიშნა 540 მან. წელიწადში, მეორე ხარისხის

ათ. მ.—10, 15—25 ათ. მ.—3, 25—50 ათ. მ.—1, 50—100 ათ. მ.—4, სულ 64, ვაჭრ. 35.

მე-9 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ.—8, 2—4 ათ. მ.—37, 4—6 ათ. მ.—17, 6—10 ათ. მ.—44, 10—15 ათ. მ.—24, 15—25 ათ. მ.—35, 25—50 ათ. მ.—21, 50—100 ათ. მ.—2, 100 ათ. მ.—2, სულ 190, ვაჭრები—37.

მე-10 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 ათ. მ.—4, 2—4 ათ. მ.—33, 4—6 ათ. მ.—18, 6—10 ათ. მ.—16, 10—15 ათ. მ.—17, 15—25 ათ. მ.—17, 25—50 ათ. მ.—18, 50—100 ათ. მ.—7, 100 ათ. მ.—2, სულ—132, ვაჭრ.—11. სულ—მესაკ.—386, ვაჭრ.—92, ორივენი—478.

რუსები: მე-8 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მან.—4, 2—4 ათ. მ.—12, 4—6 ათ. მ. 11, 6—10 ათ. მ.—7, 10—15 ათ. მ.—6, 15—25 ათ. მ.—1, სულ—41, ვაჭრ.—4.

მე-9 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ.—8, 2—4 ათ. მ.—7, 4—6 ათ. მ.—11, 6—10 ათ. მ.—20, 10—15 ათ. მ.—8, 15—25 ათ. მ.—8, 25—50 ათ. მ.—2, 50—100 ათ. მ.—2, სულ—66, ვაჭრ.—4.

მე-10 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 მ.—14, 2—4 ათ. მ.—47, 4—6 ათ. მ—37, 6—10 ათ. მან.—23, 10—15 ათ. მ.—23, 15—25 ათ. მ.—6, 25—50 ათ. მ.—5, სულ—155 ვაჭრ.—4. სულ მესაკ.—262, ვაჭრ.—12, ორივენი—274.

სხვა ტომ: მე-8 საპოლიც. ნაწილ. 1500 2000 მ.—1, 4—6 ათ. მ.—1, 6—10 ათ. მ.—2, 10—15 ათ. მ.—2, სულ—6, ვაჭრ.—7.

მე-9 საპოლიც. ნაწილ. 2—4 ათ. მ.—1, 4—6 ათ. მ.—2, 6—10 ათ. მ.—11, 10—15 ათ. მ.—2, 15—25 ათ. მ.—8, 25—50 ათ. მ.—4, 50—100 ათ. მ.—1, 100 ათ. მ.—1, სულ—30, ვაჭრ.—9.

მე-10 საპოლიც. ნაწილ. 1500—2000 ათ. მ.—11, 2—4 ათ. მ.—26, 4—6 ათ. მ.—24, 6—10 ათ. მ.—24, 10—15 ათ. მ.—15, 15—25 ათ. მ.—9, 25—50 ათ. მ.—4, 50—100 ათ. მ.—2, სულ—115, ვაჭრ.—1, სულ მესაკუთ.—151, ვაჭრ.—17, ორივენი—168.

სულ 1500—2000 ათ. მ.—76, 2—4 ათ. მ.—238, 4—6 ათ. მ.—154, 6—10 ათ. მ.—186. 10—15 ათ. მ.—123, 15—25 ათ. მ.—94, 25—50 ათ. მ,—58, 50—100 ათ, მ.—21, 100 ათ. მ.—5, სულ მესაკუთ.—955, ვაჭრები—137, ოივენი 1092.

აქაც უმთავრესს ძალას სომხები შეადგენენ, მაგრამ ისინი არ არიან აქ უმრავლესობა. სხვა ერთა სახლის მესაკუთრენი სომხის მესაკუთრეებს 183-ით აღემატებიან და საზოგადოთ სხვა ერთა ამომრჩეველებს სომხებზე მეტი 136 ხმა აქვთ. ჩვენ მხოლოდ მეექვსედ ნაწილს შევადგენთ, როგორც სახლის მესაკუთრეებისას, ისე საზოგადოთ ამომრჩევლებისას. ჩვენზე მეტი ხმა აქვთ რუსის ამრჩევლებს.

მესამე რაიონი ძალიან ჰგავს პირველს რაიონს იმ მხრივ, რომ სომხის ამომრჩეველთა და სხვა ერთა ამომრჩევლების ურთიერთობა აქაც და იქაც ერთნაირია: იქ 133 ხმით ჯობიან სომხებს დანარჩენი ამრჩევლები, აქ-კი 136 ხმით. იქაც და აქაც ჩვენ მესამე ადგილი გვიკავია სარჩევნო ძალით. მეორე რაინში, თუმცა მეორე ადგილი გვიკავია, მაგრამ უფრო მცირე რიცხვს წარმოვადგენთ, ვიდრე სხვა რაიონებში.

მესამე რაიონში წვრილები და მსხვილები ასე არიან დანაწილებულნი:

წვრილი სახლის მესაკ. ქართიელები—18, სომხები—20, რუსები—26 სხ. ტომნი—12, სულ—76 საშუალონი: ქართ.—109, სომხ.—203, რუს.—175, სხ. ტომ.—91, სულ—578, ორივენი ერთად: ქართვ.—127, სომხ.—223, რუს.—201, სხ. ტომ.—103, სულ—654, საექვონი და მსხვილი: ქართვ.—29, სომხ.—163, რუს.—61, სხვ. ტომ.—48, სულ—301, ვაჭრები: ქართვ.—16, სომხ.—92, რუს.—12, სხ. ტომ.—17, სულ—137, საექვო და მსხვილი და ვაჭარი: ქართვ.—45, სომხ.—255, რუს.—73, სხ. ტომ.—65, სულ—438.

აქაც ყველა ერის წვრილი და საშუალო სახლის მესაკუთრენი რიცხვით აღემატებიან საექვო და მსხვილ მესაკუთრეებს და, გარდა სომხებისა, აღემატებიან დიდის უმრავლესობითაც. მათი რიცხვი ყველგან აღემატება სხვა ამომრჩევლების რიცხვს, გარდა სომხებისა, რომლების წვრილი და საშუალო ამრჩეველები 22 ხმით ნაკლები არიან დანარჩენ ამომრჩევლებზე. მაგრამ მესამე რაიონში სულ საერთო რიცხვი წვრილებისა და საშუალოთა მაინც 216-ით მეტია დანარჩენ ამომრჩეველების რიცხვზე.

ამ გვარად ქალაქის რაიონებად დაყოფამ სულ სხვა კალაპოტში ჩააყენა არჩევნები: შესცვალა ცოტათი წვრილებისა დ მსხვილების ერთმანეთთან დამოკიდებულობა და განსაკუთრებით-კი სხვა-და-სხვა ერის მნიშვნელობა არჩევნების დროს. სომხებს არ შეუძლიანთ იბატონონ პირველ და მესამე რაიონში, და მომავალი საბჭო არაფერ შემთხვევაში არ იქნება იმგვარი, როგორც არის დღეს. რომ იგი უფრო სამართლიანი იქნება, თუმცა „ძალიან“ სამართლიანი, ეგ ყოველს ეჭვს გარეშეა. უმრავლესობა მხოლოდ მაშინ არის კარგი და სასარგებლო, როდესაც ყველანი ერთგვარ პირობებში არიან ჩაყენებულნი, თორემ ცენზიანის სომხების უმრავლესობა ვერასოდეს ვერ ემსახურება საზოგადო ინტერესებს...

გარდა ეკონომიურის უთანასწორობისა და ეროვნულის სხვა-და სხვაობისა, მომავალ არჩევნებზე, რასაკვირველია, გავლენა ექნება შიგნით უბანთა და გარეთ უბანთა შორის უთანხმოებას. რომელისამე უბნის ამომრჩევლები ეცდებიან, უეჭველია, თავისის უბნის კაცები აირჩიონ, რომ მათი ქუჩებიც იყოს მოკირწყლული, კარგად განათებული, მათაც გაუმართონ სკოლები და სხვ. ყოველთვის ქალაქის ცენტრი უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე განაპირა ადგილები, ეს აუცილებლივ ჰბადავს უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას გარეთ უბნელების მხრივ, რომლებიც საზოგადოთ უფრო შეუძლონი არიან, ვიდრე ცენტრის მცხოვრებლები.

ეს სამი ძალა ახასიათებს ჩვენის ქალაქის არჩევნებს. მათში ეროვნული ძალა უფრო მნიშვნელობიანი და გავლენიანი. ჩვენ აღვნიშნეთ საზოგადო ტენდენციები. დიდი მნიშვნელობა ექნება საარჩევნო აგიტაციას, საზოგადო მომზადებას, სურვილს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას (ბევრი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს) და სხ. ყველა ამის გავლენით სასწორი შეიძლება აქეთ თუ იქით მეტად გადიხაროს ან ნაკლებად, მაგრამ საზოგადო სურათი მაინც ასეთია.

აქ არაფერს ვიტყვით საარჩევნო ტაქტიკის შესახებ. მხოლოდ ეგებ ჩვენმა სიტყვებმა ზოგიერთებში უსიამოვნება გამოიწვიოს (ზოგიერთებში შეიძლება სიამოვნებაც). ჩვენ აღვიარებთ ეროვნულს ანტაგონიზმს. ჩვენ ამას ვამბობთ, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომც ჩვენ ვქადაგებთ: არიქა, შევჭამოთ ერებმა ერთმანეთი-მეთქი! არა, სრულიად არა.

ჩვენ არ ვართ მქადაგებელი ბრმა მტრობისა და ველურის ბრძოლისა.

ყოველი ერის წევრი მიილტვის „თავისიანებისადმი“, ცდილობს „თავისიანების“ ამორჩევას, ყველა ამბობს: ჩვენ—ჩვენ ვართ, თქვენ—თქვენ! კაცობრიობას ჯერ არ გაუვლია ეს ხანა. დღეს ეს აუცილებელია, კანონიერი და საჭიროც. მაგრამ შეიძლება ადამიანმა თავისი ინტერესები დაიცვას და სხვისასაც პატივი სცეს, თავის თავი არ დაივიწყოს, მაგრამ სხვაც არ დაღუპოს...

ჩვენ და სომხები ერთად ვცხოვრობთ, ქალაქის საბჭოში საერთო საქმე გვაქვს, ამას შეგნება უნდა გაგვიადვილოს ერთმანეთთადმი პატივისცემა და, რაც შეიძლება, მეტი სამართლიანობა შევიტანოთ მომავალ არჩევნებში...

ინდივიდუალობის დაცვა თუ ძალაა, შეერთებაც—ძალაა!

კალამი

სკოლის მასწავლებელს 480 მანეთი, გალობის სწავლებისათვის 200 მ., გალობისა და მუსიკის მასწავლებელს სამრევლო-სასოსტატო სკოლაში 600 მან., საზოგადო განათლების საგნების მასწავლებელს იმავე სკოლაში—900 მან., მეორე ხარისხის სკოლის გამგეს—360 მანეთი, ხოლო სამრევლო-სასოსტატო სკოლის გამგეს—1,500 მან. ეს უკანასკნელი ჯამაგირი იმოდენივეა, რაც სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორისა. ჯამაგირის შესაფერად მასწავლებლებს დაენიშნებათ პენსიაც.

მასწავლებელნი და მზრუნველნი ყველა სამრევლო სკოლებისა და აგრეთვე მოსწავლენი სამრევლო-სასოსტატო სკოლებისა, სწავლის დროს და სწავლის დასრულების შემდეგაც, განთავისუფლებულნი არიან გადასახვისაგან. სამრევლო-სასოსტატო სკოლაში კურს-დასრულებულს დასაწყისს სკოლებში სწავლებისათვის, თორმეტის წლის განმავლობაში, ეძლევა პირადის პატივდებულის მოქალაქის ხარისხი. ორ-კლასიანი სამრევლო სკოლები და სამრევლო-სასოსტატო სკოლები სამხედრო ბეგრის გადახდის შესახებ ჩაირიცხება მეორე ხარისხის სასწავლებლად, ხოლო ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლები მესამე ხარისხისად. ორკლასიანის სამრევლო სკოლის სწავლა დამთავრებულს შეგირდს მიეცემა მესამე ხარისხის შეღავათი სამხედრო ბეგრის გადახდაში; ხოლო სასოსტატო სკოლისას,—იგივე უფლება, რაც სკოლაში შესვლამდე ჰქონდა. წილის ყრის შემდეგ მხედრობაში ჩარიცხვა გადაიდება სამრევლო სასოსტატო სკოლის მოსწავლეთათვის კურსის შესასრულებლად, თუ მოსწავლემ ისურვა, ოც და ორის წლოვანობის მიღწევამდე.

ახალის წესდებით განსაძღვრულია უწყებანი უწმინდესის სინოდისა და საერო განათლების სამინისტროსი დასაწყისს სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციისა და გამგეობის შესახებ, და მტკიცედ მიჩნეულია უფლება და მოვალეობა დასაწყის სკოლების გამგეთა ორისავე უწყებისა და მათი ურთიერთობა. პირობანი და რიგი სახალხო დასაწყისს სკოლების დაარსებისა, ორისავე უწყებისა, იმ ადგილებში, სადაც უკვე არიან ასეთი სკოლები, განისაზღვრება იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორისა და საერო განათლების მინისტრის შეთანხმებით. („ბირჟ. ვედომ.„) *)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 აპრილი

პეტერბურგი. 17 აპრილს დიდი მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის სასახლეში მისმა უმაღლესობამ ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ და მეუღლემ იმისმა მარიამ პავლეს ასულმა მიიღეს ნეჟინსკის პოლკის დეპუტაცია, რომელმაც მიულოცა დიდ მთავრინას 25 წლის შეფობა ამ პოლკში.

ცარსკოე სელოში გაიმართა დღესასწაული ლეიბ-გვარდიის პირველის და მეორე მსროლელთა ბატალიონებისა და ლეიბ-გვარდიის ყაზახთა ბატარეისა.

ვარშავა. გალკინის ფარნების გამოცდამ კარგი შედეგი იქონია; ვარშავა-ვენის რკინის გზამ დაადგინა, ამ ფარნებით გაანათოს სადგურები დომბროვო, ბენდინი და ცეხოცინსკი.

საექიმო გამგეობას აზრადა აქვს დაადგინოს, რომ სახელოსნო და სამრეწველო სადგომები მოთავსდეს მხოლოდ იმ სახლებში, სადაც წყლის არხებია გაყვანილი.

მოსკოვი. ტვერსკოი ქუჩაზე აკურთხეს სამლოცველო, რომელიც აგებულია მათ უდიდებულესობათა ქორწინების სახსოვრად.

ჩერნიგოვი. დღეს სასულიერო სემინარიის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს. ამ შენობაში საცხოვრებელი ბინა ექნება ოთხას შეგირდს.

ნოვგოროდი. დღეს მონადირეთა საზოგადოებამ გახსნა ძაღლების პირველი გამოფენა.

პერნოვი. პირველი გემი მოვიდა. ნაოსნობა დაიწყო.

ჩისტოპოლი. პერმიდან გემები არ მოსულან; ყაზანთან სწორე მიმოსვლა დაიწყო.

მიტავა. ზაფხულში სხვა-და-სხვა ადგილებში თექვსმეტი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიმართება; მიწად-მოქმედების სამინისტრომ 503 ჯილდო დანიშნა.

ბაქო. ასტარაში გაემგზავრნენ შაჰის შესახვედრად სპარსეთის ელჩი მირზა-ჰასანი და დეისტვ. სტატ. სოვეტნიკი კოხანოვსკი.

მოსკოვი. ხელოვნების საზოგადოებამ დაადგინა: გოგოლის და ჟუკოვსკის მოსაგონებლად, მხატვრობისა და ქანდაკების სასწავლებელში ორს სწავლა დამთავრებულს აძლიონ ხოლმე საჩუქრად ას-ასი მანეთი.

19 აპრილი

ფილადელფია. რუსეთის ჯავშნიანი გემი „რეტვიზან“, ახლად გაკეთებული ამერიკაში, რუსეთს გაემგზავრა.

პარიზი. ბრისსონი დათანხმდა გამოვიდეს კანდიდატად დრომის დეპარტამენტში; სხვა რესპუბლიკელ კანდიდატებმა წყარი სთქვეს კენჭის ყრაზე ბრისონის სასარგებლოდ.

ოდესსა. არსდება ახალი დრამატიული საზოგადოება გოგოლის სახელისა.

რუსეთის მევენახეთა მეღვინეობის სადგურების დაარსებას აპირებენ ამ წლის მეორე ნახევრიდან.

სიმბირსკი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პოლივანოვის თავმჯდომარეობით გუბერნატორის და სხვა საპატიო პირთა თანადასწრებით იდღესასწაულეს კარამზინის ბიბლიოთეკის დაარსების წლის თავი.

პორტ-არტური. დაარსდა საქველ-მოქმედო საზოგადოება.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, როდესაც ბურთა წინამძღოლები დაასრულებენ დამორჩილების პირობების განხილვას, ისინი მოვლენ მთავარ შტაბში, რათა კიტჩენერთან ერთად შეიმუშაონ საბოლოო პირობები.

კალკუტა. საშინელი ქარიშხალი იყო ქალაქ დაკკასა და მახლობელ ადგილებში; დაიღუპა 416 კაცი, ჭირნახული განადგურდა; მცხოვრებნი მეტად გაჭირვებულნი არიან.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 აპრილს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2—6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	მყიდ.
4% 0-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$304^1/_2$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	196	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩათახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბართნისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	მ. კ. — 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1 —
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1 50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	— 80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1 20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 30
და-მამად-ხანის შემოსვლ ტფილისში	— 15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	— 09
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	— 20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлиъ Грузинское Издательское Товарищество.

ივანე როსტომაშვილის

სამეურნეო სასწავლებელში

სწავლა დაიწყო 2-ს აპრილს. არის კიდევ 15 ვაკანსია. მთხოვნელებმა მოგვმართონ: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. пер. № 20). (10—298—5)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საკაზმაების და თამბაქოს ფაბრიკების საყურადღებოდ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბაში ახალს დიდს სალესავ მანქანაზე ასწორებენ და ჰლესავენ ქაღალდისა და თამბაქოს საჭრელ მანქანების დანებს.

მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარგარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, კრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი იყიდება **ზომიერ ფასად და უვარგოდ**.

---

*) „ივერია“-დან ამოღებულია.

Дозволено цензурою Тифлисъ, 19 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.